


საქართველოს



იმისთანა წმინდა საღმრთო,
ბრძოლით ბეჭდული სიფიქსა,
ფიქსილებით და ჭაბუბით ბუბის
გაფანა ყუელა უკადრისადაც
უსაბაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

შაბათი, **15** ივნისი, 2013 წელი.


№111 (7238)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„არის ოპტიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინიდან გამოსავალს მოვნახავთ“

საქართველოს პრემიერის
საქმიანური წარმომადგენელი
რუსეთის ფედერაციასთან
ურთიერთობის შესახებ



როდემდე ვიყოთ ასე გულუბრები?



ელიზბურ კორუფციამ გვიმთარბაბაძის და ირმა ნადირაშვილის საუბარი ახსურდება!

სამართლიანობას სამართლებრივად უჭირს

საკანონიერ საქართველოს ოლიგარქების უდროოდ დაბრუნება სურს

ის იყო კაცი, ვისაც ქვეყანა ყურს უგდებდა

ალა დუდაევის სიმბარულის ისტორია და ფიქრები



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა- დემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარ- დაიცვალა გამოჩენილი ქართველი რეჟისორი, ქართული ხელოვნების ჭეშმარიტი რაინდი, რუსთაველისა და მარჯანიშვილის პრემიების ლაურეატი, ჩინებული მოქალაქე და მამულიშ- ვილი, ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობარი

გიგა ლორთქიფანიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს
და დას, აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძეს.



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვამბან ვერ ნახავ!..

© ცინიკოსები

„ნაციონალური მოძრაობა“ თავდაცვის სამინისტროს ელიტურ კორუფციაში სდებს ბრალს და იმ მაღალი თანამდებობის პირთა დასჯას ითხოვს, რომელთაც შეთანხმებებში მონაწილეობა მიიღეს. კერძოდ, ოპოზიციონერი დეპუტატის ირმა ნადირაშვილის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 4 იანვარს გიორგი სიმონიანმა, რომელიც გენერალთა გარეკარაშვილის მძღოლია, თბილისში, შპს „პროგრეს პლუსი“ დაარსებისას, რომლის 100%-იანი წილის მფლობელიც თავად არის.

„ამ ადამიანს არანაირი ბიზნესგამოცდილება არ აქვს. მისი ფირმის დაფუძნებიდან სამ კვირაში კი, მან თავდაცვის სამინისტროს ტენდერში მონაწილეობა მიიღო და 70 000 ლარი სანაწინადი და საპრობათი საშუალებების ნაწილობრივი მოიგო. ამ კომპანიამ, რომელიც სპეციალურად ამ ტენდერებისთვის შეიქმნა და რომელსაც ოფისი და ტელეფონი არ გააჩნია, ორი ტენდერი მოიგო. კერძოდ, კომპანიამ სატრანსპორტო საშუალებების ნაწილობრივი გამოსაწირი ლოტი - 1 372 000 ლარი მოიგო და ასევე აკუმულატორების მინორდაბე 238 000-ლარიან ტენდერში გაიმარჯვა. სხვათა შორის, ეს ტენდერი „თვტეკა მოტორსს“ მოუტო. საბოლოოდ, ამ კომპანიამ თავდაცვის სამინისტროსა და, თითქმის, 1 800 000 ლარი მიიღო. გიორგი სიმონიანი გია ვარგარაშვილის მძღოლია და თუ გავისწავნებთ რა ახლო ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან ვარგარაშვილსა და ირაკლი ალასანიას, ალბათ, ეს ფაქტები არაფერს გაკვირვებს არ გამოიწვევს და გასაგებია გახდება - კომპანიამ სამი ლოტის მოგება როგორც მოახერხა. როგორც ჩანს, ალასანიამ ვარგარაშვილს პოლიტიკური მხარდაჭერისთვის მადლობა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაუხადა. ეს ელიტური კორუფციის ფაქტია“, - განაცხადა ნადირაშვილმა, რომელმაც ამ სქემაში მონაწილე პირების დასჯა მოითხოვა.

ელიტურ კორუფციაზე საუბრისას, გივი თარგამაძემ ყურადღება თავდაცვის უწყებაში კვებაზე ჩატარებულ ტენდერზე გაამახვილა.

მისი ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროში კვების ტენდერში, 19 და 39-მილიონლარიანი ლოტები შპს „ელექტრომონტაჟ სერვისმა“ მოიგო.

„შეიარაღებული ძალების კვების მსხვილმასშტაბიანი ტენდერების ოთხ ლოტში (საერთო ღირებულებით 108 მილიონი ლარი) გამარჯვებულია სამი ფირმა, მაშინ, როდესაც ტენდერში მონაწილეობდნენ ბევრად მეტი რაოდენობის და მნიშვნელოვანი გამოცდილების მქონე კომპანიები. აქედან ორ ლოტში (საერთო ღირებულებით 58 მილიონი ლარი), გამარჯვებულია კვების სფეროში გამოცდილების სრულიად არმქონე შპს „ელექტრო მონტაჟსერვისი“. პარლამენტის წევრის ირინა იმერლიშვილის მეუღლის ფირმა შპს „ფულადინი“ გამარჯვებულად მითითებულია 35 მილიონი ლარის ღირებულების ლოტში, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს ადრე გაკეთებული განცხადებით ფირმა ტენდერიდან მოხსნილი იყო“, - აცხადებს თარგამაძე.

© კითხვები, რომლებიც ვასუხავს მოითხოვს

სამართლიანობას სამართლებრივად უჭირს

(მესამე ბეგრადი) საუბარია იმაზე, რატომ არის ინფორმირებული ცალკეულ საქმეებზე „ქართული ოცნების“ საპარლამენტო კორპუსი, საქართველოს მთავრობის შემადგენლობა და, განსაკუთრებით, პრემიერ-მინისტრი.

ამ ინფორმირებულობის შემდეგ რატომ უსწრებთ ენა ცალკეულ პერსონებს და რატომ აცხადებენ საჯაროდ, რომ უკვე დაკავებულ თუ სამომავლოდ დასაკავებულ პერსონებთან (ამა თუ იმ კონკრეტულ საქმეებზე) „პროკურატურას აქვს კითხვები“, „გამოძიებას აქვს კითხვები“ და მედიდურად რატომ დასძინენ, რომ „მას მოუწევს ამ კითხვებზე პასუხის გაცემა“?

ახლა ვეკითხები კანონმდებლებს, განსაკუთრებით იურისტებს, ექსპერტებს, მოექსპერტო ელემენტებს „მაქვს თუ არა იმის უფლება, რომ მქონდეს შემდეგი საფუძვლიანი ეჭვი: ცალკეული პარლამენტარები და მთავრობის ცალკეული წევრები დასაკავებულ პერსონებს მიანიშნებენ - „ამ საკითხზე დაგკითხავენ, შეიძლება დაგიჭირონ კიდევ და თავს უშველე, მოსპე მტკიცებულებები, „დაკერე“ მოწმეები?“

ჩვენ ვცხოვრობთ საქართველოში, სადაც ყველა ერთმანეთის ახლობელი, ნათესავი და ნაცნობია. ჰოდა, ხომ არ არის ეს ნათელ-მირონებთან პირნათლად ყოფნის ერთგვარი ტაქტიკა?

ახლა მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: რა უფლებით აბარებს პროკურატურა პოლიტიკოსებს, ვგულისხმობ მმართველი პარტიის შემადგენლობას, როგორც პარლამენტის წევრებზე, ასევე მთავრობის წევრებზე, ანგარიშს? რატომ არის ცნობილი, რატომ ანონსდება ცალკეული პირების შესაძლო დაკავების, ბრალის დამძიმების თემები?

ბატონი პრემიერი ხშირად საყვედურობს მედიას, იმის გამო, რომ თურმე კითხვები არ ისმება ნაციონალური მოძრაობის მი-



ელიტურ კორუფციაზე ბივი თარგამაძის და ირმა ნადირაშვილის საუბარი აბსურდულია!



ვებულად მითითებულია 35 მილიონი ლარის ღირებულების ლოტში, მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს ადრე გაკეთებული განცხადებით ფირმა ტენდერიდან მოხსნილი იყო“, - აცხადებს თარგამაძე.

დავუშვათ ისიც, რომ ასე გუნდურად არავინ ახდენს პოლიტიკური ჯგუფის ინფორმირებულობას (როგორც ამბობენ, ნაციონალური მოძრაობა ამას ძალიან ვინც რომ წრეში აკეთებდა.) მაშინ რას ემსახურება ცალკეული პირებისთვის ცალკეულ საქმეებზე ინფორმაციების მიწოდება, ვიმეორებ, გამოძიებაში არსებულ საქმეებზე? და თუ ასეც არ ხდება, მაშინ რატომ ემთხვევა პოლიტიკოსების განცხადებებს შემდგომში პროკურატურის ქმედებები? ქართველი პოლიტიკოსების „სამჭკუაშეილობაზე“ საუბარი არ გვინდა - უადგილოა, შესაბამისად, მათ ვერც ნოსტრადამუსობას დავაბრალებთ, დიდი პატივი იქნება. გამოდის რომ ინფორმაცია ჟონავს? ეს მთლად უარესი! მაგრამ ხომ ცხადია,



რომ მინიმუმ პრემიერ-მინისტრისთვის მსტოვრებს არ მოაქვთ ხმები იმის შესახებ, თუ რა საქმეს იძიებს პროკურატურა, ვის რა ეპიზოდში დაუძმძმდება ბრალი და ასე შემდეგ? რატომ არ აქვს ჩემს კითხვებს არსებო-

„როგორც ჩანს, ალასანიამ ანგარიში გია სუსაშვილს გაუწია და პოლიტიკური რევერანსი ამ ჯარისკაცების მონაშტის სარჯზე გაუკეთა, თუმცა, შემდეგ სუსაშვილის რიტორიკა ალასანიას მიმართ შეიცვალა და საკმაოდ შერბილდა კიდევ. იმ სიტუაციაში, როცა ხელმისაწვდომ ტენდერებში ასეთი განუკითხაობა ტრიალებს, აშკარა არის, თუ რატომ არ სურთ „ნდობის ჯგუფში“ ნაციონალური მოძრაობის შეშვება, რომელსაც ხელი ყველა დასურულ სარჯზე მიუწვდება“, - აღნიშნავს თარგამაძე, რომლის „ნდობის ჯგუფში“ შესვლასაც უმრავლესობა ეწინააღმდეგება და მას ნდობას არ უცხადებს.

კომენტოთა ბრალდებებს ირინე იმერლიშვილი პასუხობს და აცხადებს, რომ უმცირესობა უსაფუძვლო პიარით არის დაკავებული და საკუთარი ელიტური კორუფციის ფაქტების გადაფარვას ცდილობს. „დასამალი არაფერი მაქვს. კომპანიაში, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობს, აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე ჩემი მეუღლის სახელი და გვარი პირდაპირ წერია, რადგან კვების სფეროში ეს კომპანია წარმატებულია. იმისდა მიუხედავად, რომ თავდაცვის სამინისტროს გადამწყვეტილებით, ეს ტენდერი ჩაიშალა (წორიერებულად კვებითადან, არანორმირებულზე გადასვლის გამო) კომპანია მომავალში, გამოცხადებულ ტენდერებშიც მიიღებს მონაწილეობას და გამისარდება, თუ გამარჯვებს კიდევ, რადგან კანონდარდგევის, ვინმესთვის წილებში ჩაჯდომისა და ბიზნესების წართმევის არ ვაპირებ. ასევე, არ გვგვამავენ, ბიუჯეტიდან თანხების მოპარვას“, - განუცხადა for.ge-ს იმერლიშვილმა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი ირაკლი ჩიქოვანი ნაციონალთა მხრიდან ელიტურ კორუფციაზე საუბარს ცინიკოსს უნოდებს და ამბობს, რომ მათ მიერ ნაყენებული ბრალდებები აბსურდულია.

„ის, რომ ელიტურ კორუფციაზე გივი თარგამაძე საუბრობს, ეს უკვე ცინიკურია. ელიტურ კორუფციაზე ის ადამიანი საუბრობს, რომელიც წლების განმავლობაში, „ნდობის ჯგუფის“ ხელმძღვანელი იყო და მათ თავდაცვის სამინისტროს სარჯების გაკონტროლება ევალებოდა, მაგრამ არავინ იცოდა, სად და როგორ ისარჯებოდა სახსრები. ნადირაშვილისა და თარგამაძის მიერ გაყდურებული საკითხები ის აბსურდულია, მაგრამ ეს ინფორმაცია ვისგანაც არ უნდა მოედინებინა, აუცილებელია, ნებისმიერი ეჭვი გამოირიცხოს და განცხადება გადაიხადოს. რაც შეეხება „ნდობის ჯგუფში“ თარგამაძის არშესვლის ფაქტს, ეს მის პოლიტიკურ წარსულთან და მოქმედებებთან არის დაკავშირებული და არა მის ნდობასთან“, - განუცხადა for.ge-ს ჩიქოვანი.

თეონა მანაბაძე

ბის უფლება? ლოგიკურია, რომ აქვს მაგრამ ამ კითხვებზე არც პროკურატურის და არც უმრავლესობის წევრების პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი. ამ კითხვებს პრემიერმა უნდა უპასუხოს, იმიტომ, რომ, როგორც ჩანს, მან თუ არ დაინერგა, მიიღო თამაშის ეს წესი. და რატომ? ეს ხომ მინიმუმ უსამართლობაა და რამდენად სამართლებრივია განმარტონ კანონმდებლებმა და იურისტებმა.

თუ ვინმე იტყვის, რომ მე რაღაც არასწორად გავიგე, მაშინ პრემიერის მინიმუმ 20-მდე ასეთი სახის განცხადებას გამოვაქვეყნებ ცალკეულ პერსონებზე და ცალკეულ საქმეებზე. პოლიტიკოსების განცხადებებზე საუბარი არც ღირს, იმიტომ რომ საკმაოდ ბევრნი არიან და საკმაოდ გულუხვად აკეთებენ იმის დემონსტრირებას, რომ ინფორმირებულნი არიან.

მოკლედ რომ ვთქვა, ქვეყანაში სამართლიანობასაც და სამართლებრივ სამართლებრივად უჭირს და მერე არ იცოს იმაზე ლაპარაკი, რომ კითხვები არ დაისვა. საზოგადოებისთვის თუ ცალკეული პერსონებისთვის რა არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინ გამოითანს განაჩენს სამართლიანობის გამოუწვით, სააკაშვილი თუ ივანიშვილი, ადგილი თუ კბილაშვილი, ნაციონალური მოძრაობა თუ ქართული ოცნება? უსამართლობა ერთნაირად უსამართლობაა და მეორესთანაც. ახლა ის ვარკვით, რამდენად სამართლებრივია - „არსებობს ლეგიტიმური კითხვები“, „მოუწევს პასუხის გაცემა“ და ათასი ამის მსგავსი. ეს არაა ის შემთხვევა, როცა პოლიტიკურ შეფასებებთან გვაქვს საქმე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც პოლიტიკოსები სამართლებრივ სივრცეში იჭრებიან ან უფრო უარესი - გავლენას ახდენენ მასზე.

ბონა მირცხულავა. X0-308-360

ენერგომომარაგება

წმირ კიდევ მე-20 საუკუნის მიწურულს დამოუკიდებლობის ხელშეწყობით...

და აი, თავისუფლების მოპოვებიდან უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა...

დავინწყით თუნდაც ჩვენი ღვინო და მიწურულში წყლებით, რომლებსაც არა თუ უაღრესად გაჯერებულ უმცხვილეს...

ნავთობს მოვიპოვებდით, დანყებული იყო გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოები...

მართალია, საქართველოს უკლებლივ ყველა მთავრობა ენერგეტიკის დომინანტ როლს ალიარებდა...

ლალი დონის პირობებში მის შემოტანაზე უარის თქმის პერსპექტივას საკმაოდ შორეულს ხდის...

რეკონსტრუქციის დასრულების შემდეგ კარგად დასაბუთებულია დასავლეთის მიწის ნაკვეთების გაქცევა...

აღნიშნული გარემოებები იმის თქმის საფუძველზე იძლევა, რომ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებაზე...

რაც შეეხება მზის ენერჯის გამოყენებას, საქართველოს ბუნებრივ-მეტეოროლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით...

ეკონომიკის განვითარებაზე, ასევე სათბობ ენერგეტიკისა და ელექტროენერჯის მიღების ალტერნატიული წყაროების გამოყენებაზე უნდა გაკეთდეს...

საქართველოში მდებარე ალტერნატიული წყაროების შორის ზემოთ ქარისა და ბიომასიდან გამოყოფილი, ასევე მზის ენერჯის ვახსენეთ...

საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების მხრივ მთავარ პრობლემად მთავრობის უსაფრთხოების რაღაც სექტორებს დასავლეთის მიწის ნაკვეთების გაქცევა...

აღნიშნული გარემოებები იმის თქმის საფუძველზე იძლევა, რომ ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებაზე...

საქართველოს ბუნებრივ-მეტეოროლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით, მზის ენერჯის გამოყენება...

რაც შეეხება მზის ენერჯის გამოყენებას, საქართველოს ბუნებრივ-მეტეოროლოგიური პოტენციალის გათვალისწინებით...

ოთარ ტურაბელიძე

სემსცივილიზაცია

ორსქესიანობა არ გააპართლა!

ბიბლიური მონათხრობიდან გამომდინარე, ყველაზე უფრო მკვიდრი (ლაბარაკია ადამსა და ევასზე) საისტორიო ადგილს ლელვის ფოთლით იფარავდნენ...

ჩვენი პლანეტის მილიარდობითონი ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე დადგინდა, რომ ლელი, ისევე როგორც ვაზი, პირველად საქართველოში გაჩნდა...

მეორეც, ადამსა და ევას, ჩემი ვარაუდით, ფოთლის აფარება არ უნდა დასჭირვებოდათ...

ამას წინათ ტელევიზიით აჩვენეს, შუა ევროპაში, მზით გაჩაჩაჩებულ ქუჩაში, ტიტლიკანა მამაკაცებისა და ქალების მთელი ნახირი ჯგროვდა...

და მე გამიჩნდა კითხვა: დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, მაღალცივილიზებულ ევროპელებს არ უსიურიცხვილებათ სიმშვილისა და უსაუკუნო პერიოდში წერა-კითხვის უცოდინარ ადამისა და ევას რატომ უნდა შერცხვენოდან?

აბა, რა უნდოდათ? თურმე ცივილიზაციას უცხადებდნენ პროტესტს!

ამან ჩემდაუნებურად პირველყოფილი ადამიანი და მასთან დაკავშირებული პლატონის თეორია გამახსენა...

აბა, რა უნდოდათ? თურმე ცივილიზაციას უცხადებდნენ პროტესტს!

სკაპლიკა

ტახტს არ გააპარსვი-მეთქი?!

მშაბ თქვენც გიფიქრობთ, რომ კაცის ცხოვრებაში (ნაცის ცხოვრებაშიც) ყველაზე სულელური სიზმარია; მოდა, წუნანდელ ჩემს სიზმარზე უნდა გაიმბოთ - ვითომ ეს ძალიან მაინც პრეზიდენტად გირიგო...

საქართველოში მდებარე ალტერნატიული წყაროების შორის ზემოთ ქარისა და ბიომასიდან გამოყოფილი, ასევე მზის ენერჯის ვახსენეთ...

და იგი ორ ნაწილად გაყო - მამაკაცად და ქალად. აბა რას ნარ-მორიდგენდა მამის ზევსი, ან სას-ჯელით ორივე ნახევარს რამხელა ბედნიერება მოუტანა(!).

ზევსის ამ უნებლიე შეცდომით კაცობრიობა დღემდე ანგარიში მიუცემლად სარგებლობს. თუმცა, ვაი, ასეთ სარგებლობას, საუკუნეების მანძილზე მამაკაცისა და ქალის სქესობრივი დაპირისპირების წყალობით...

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავსკვნათ, რომ ორსქესიანობამ პრაქტიკულად ვერ გაამართლა და ადვილი მოსალოდნელია, ახლო მომავალში ადამიანი თავის სანყის ეტაპს - ერთსქესიანობას დაიბრუნებდა...

გამორიცხული არ არის, რომ ეს პროგრესული მოძრაობა მალე პოლიტიკაშიც აისახოს - ერთმანეთს შეეწყვიტონ როგორც კაცები (გუნები), ისე ქალები (ლესბოსელები). ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ასეთთა ქორწინების დაკანონებასაც კი მოედინეს.

გამორიცხული არ არის, რომ ეს პროგრესული მოძრაობა მალე პოლიტიკაშიც აისახოს - ერთმანეთს შეეწყვიტონ როგორც კაცები (გუნები), ისე ქალები (ლესბოსელები). ზოგიერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანაში ასეთთა ქორწინების დაკანონებასაც კი მოედინეს.

ამას ყველაფერს მოეწვევა, მაგრამ რჩება ერთი გაუგებრობა: ქვეყანაში ცალსქესიანობამ თუ იმპლავრა, ისედაც მცირე რიცხოვანი როგორღა შეიძლება ასეთმა არსებამ განვითარების რაღაც ეტაპზე სულაც კვერცხები დადო, მერე მოკრუსხვდა და შთამომავლობა გამორეკოს. ყოველ შემთხვევაში, კაცს, რომელსაც ცოლის პრობლემა აღარ ექნება, გამრავლება არ უნდა გაუჭირდეს(!).

ოტია ჩართულანი



მისი მზერა წარსულისკენაა მიმართული. გერასდროს იცხოვრებს წარსულისგან განცალკევებით. მის სულში არსებული ცხოვრება იქნებ აცდენილიცაა რეალურ გარემოს...

დაბოლოებული იქნა ბირველი პრეზიდენტის, ბირველი ჩეჩენი გენერლის მეუღლის ალა დუდაევის ცხოვრება და ბედის... ალა დუდაევის სურვილი, თქვას სიძარითლე საკუთარ თავზე და საკუთარ თჯახზე... თუმცა, უბირველესი სიბრძნე გამოთქმა...

ჩვენ ვეცადეთ ჩაგვეწერა ის, რაც გვიამბო ამ მშვენიერმა ქალბატონმა, ვისი ცხოვრებაც და ბედიც კავკასიის ისტორიის გზაჯვარედინზე წარმართა.

ჩვენი საუბრიდან მცირე დროის შემდეგ ქალბატონი ალა დუდაევა ევროპაში გაემგზავრა და კავკასიაში დაბრუნებას ვერ არ ამირებს...

ასევე ვეცადეთ მისი ლექსებიდან რამდენიმე სტრიქონიც გვეთარგმნა ქართულად...

ალა დუდაევა: ეს ლექსი ახალგაზრდობაში დაწერე. მაშინ ჯერ კიდევ წაბლისფერი თმა მქონდა...

ჩემს ფანჯრის მინებს აწყდება თოვლი. გადაუღებელ ფიფქით და სევდით, დაუსრულებლად დამყვება ფიქრი: რა მელის და რას მიმზადებს ბედი...

ალბათ ლოგიკურია, რომ 20 წლამდე არაფრით ვყოფილვარ გატაცებული. ყველა სიყვარულზე ოცნებობდა, ბევრი შეყვარებულიც იყო, მე კი არა. მეჩვენებოდა, რომ სიყმაწვილე გავიდა, ახალგაზრდობა მიდის, მე კი ჯერ არაფერი მყვარებია. თანაყურსელი მიჭები ამბობდნენ ჩემზე: იდეალი სჭირდება, იდეალს ეძებ... და ვფიქრობ, ვიპოვე... როცა ჯოხარი – ჩემი მომავალი მეუღლე, სამხედრო ქალაქის საცველო მოედანზე გამოჩნდა, მე იქ პირველად ვიყავი... მომიახლოვდა, თავი დამიკრა და გამიჩვია... რა ვიცვავთ? ჩვენ ვცვავდით ტანგოს – „პატარა ყვავილი“. ...დიახ, ეს ასე იყო... შევედი დარბაზში, ბორდოსფერი ხავერდის კაბით, რომელიც დედამ შემიკრა, სპეციალურად ცვევებისთვის... ახალდაბრუნებული ვიყავი პლენერისგან, ერთ-ერთი სოფლიდან. ტბასთან ვხატავდით ეტიუდებს სმოლენსკის სამხატვრო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები. მოკლედ შეჭრილი თმით და მზესივრული სახით მივიღე, იმ ბორდოსფერი ხავერდის კაბით და უცებ, დარბაზში შესვლისთანავე, ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა, ლამაზი ვაჟი და საცველოდ დამპატივა. ეტყობოდა, რომ აღმოცნობილი იყო, კავკასიელი. ცვევის დროს დამიჩყო საუბარი კავკასიაზე, მათ წეს-ჩვეულებებზე, ღირსების ცნებაზე. ჩემთვის ეს ყველაფერი საინტერესო იყო და უყნაურცი. მეუბნებოდა – ღირსება კავკასიაში ისეთი ცნებაა, რომელიც მთელ მოდგმას ეკუთვნის. მთელი მოდგმა ცხოვრობს ამ ღირსებით. ვეკითხებოდი, რატომ გგონია, რომ ღირსება ჩვენთან არ არის-მეთქი? მპასუხობდა, რომ თქვენთან შესაძლებელია ღირსება ახასიათებდეს ცალკეულ ოჯახებს, მაგრამ კავკასიაში არსებობს მთელი გვარის და

ალა დუდაევის სიყვარული

მოდგმის ღირსება. თუ ვინმე არასწორად მოიქცევა, ეს მთელი გვარის სირცხვილად ითვლება ანუ ადამიანმა მთელი გვარის ღირსება უნდა დაიცვასო.

მხოლოდ მოგვიანებით, თანდათანობით გავიგე და გავითავისე ის, რაც მან ამიხსნა, თუ როგორი მოვალეობაა, ატარებდე ღირსებას...

მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩეჩენებისთვის მიუღებელია რუსებზე დაქორწინება და რომ ჯოხარისთვის ეს რაოდენ დიდი ძალისხმევა იყო. ამაზე არაფერი უამბნია, ალბათ იმიტომ, რომ არ შემშინებოდა და უარი არ მეთქვა. სხვა ადათ-ჩესებზე ბევრს მიყვებოდა, მაგრამ ამაზე არაფერი წამოსცდენია. ერთხელ, როცა ხელში ამიყვანა, მითხრა – ასე შემიძლია მთელი ცხოვრება გატარო. რომანტიკოსი იყო ... პოეზია უყვარდა... და ერთ-ერთი პირველი ლექსი, რომელიც მისგან მოვისმინე იყო „მწივი“. გეპირად იცოდა და გატაცებით დეკლამირებდა. ის იყო ძლიერი და რომანტიკოსი. ამგვარი ძალი სიკეთესაც გულისხმობს.

ბარდაქმნის ეპოქის დასაწყისში ვცხოვრობდით ბალტიისპირეთში, ესტონეთში. ბალტიისპირეთის სახალხო ფრონტები ჩვენს თავლებზე იქმნებოდა. ყველაზე მხოუცივი კი ინტერესდებოდნენ პოლიტიკით. მაგალითად, მეზობელი, ღრმადმოხუცებული ბაბუა იან სიკი, თავის მეუღლესთან ერთად, პარასკეობით ესწრებოდა სხდომებს, სადაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ეცნობოდნენ.

უცებ უკრაინაშიც იფეთქა სახალხო ფრონტმა. ჩვენ გვიხაროდა. ..მოგვიანებით ცვლილებები დაიწყო კავკასიისკენ. დაიძრა თავისუფლების ნიაღვი....

ჯოხარი კარგად ხედავდა, რაც ხდებოდა. ჩეჩენი ხალხიც გამოცოცხლდა, დაარსდა სახალხო ფრონტი. ჯოხარ დუდაევი მიიწვიეს კონგრესზე. ის აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. თანამგამოუღებელმა სთხოვეს – დაეტოვებინა სამსახური ბალტიისპირეთში, თუმცა,



ჯოხარ დუდაევის მკვლელის დღე

ლიხსმებოდა. იგი გადადგა და ჩამოვიდა იჩქერიაში.

მაშინ ხალხი ფიქრობდა, რომ ელცინია ნამდვილი დემოკრატი და არა გორბაჩოვი. როდესაც ამ ახალმა ძალამ, ე. წ. „დემოკრატიკმა“ გაიმარჯვეს, ელცინმა განაცხადა, მიიღეთ სუვერენულობა იმდენი, რამდენსაც მოინდობთ და ამგვარად, კანონის სრული დაცვით, ჩეჩენეთის რესპუბლიკა – იჩქერიაში აირჩია პარლამენტი და პირველი პრეზიდენტი ჯოხარ დუდაევი.

ყველაზე დიდ მიღწევად მე ვთვლი იმას, რომ 1996 წელს ჩეჩენმა ხალხმა შეძლო, დაემარცხებინა უდიდესი იმპერია. ამ მიღწევაზე ახლა საუბრობენ როგორც სასწაულზე.

როდესაც ქვეყნის მეთაური ერი იჩქევს, ეს ადამიანი გამოხატავს ამავე ერის ნებას, წუხილს, ოცნებას. მაშინ ვერი და ადამიანი ერთ მთლიანობას ქმნიან. ესაა ბირთვი, გულისცემა იმ ხალხისა, საკუთარ დროსთან უნისონში... მეთაურს შეუძლია დრო შეატრიალოს წარსულისკენ, თავისუფალ წინაპრებთან, და ასევე

მოხდა საქართველოში, როდესაც ზვიად გამსახურდია, თავის ერთადერთად, წარმოადგენდა ერთ მთლიანს... მაგრამ რუსეთს არ სჭირდება ასეთი პრეზიდენტები, უკაცრავად, რუსეთის ხელისუფლებას არ სჭირდება.

..... – არ შეიძლება ყვირილი, არც ტირილი! – მეუბნებოდნენ.

გო მანქანაში ვსხდებით. ჩამუქებული ცაზე არც ერთი ვარსკვლავი არ ვიხილავ... მე წინ, მძღოლის გვერდით მსვამენ. ჯოხარის ნებით ფარდაზე გაახვიეს და უკან, საბარგულში დაასვენეს.

– მეც მის გვედით მინდა ყვიყო. – მუდარით ვამბობ.

– არ შეიძლება, შეგნიშნავენ!... ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს ყველაფერი ცხადია და არა სიზმარია...?

რომელიღაც შენობასთან შეჩერდით. ჯოხარი ყველაზე პატარა, მწვანე ოთახში შეიყვანეს. თეთრ ზეწარზე აწვენენ. ქვემოთ ნოხი ჰქონდა დაფენილი... ჯოხარის სასთუმალთან ჩამოვჯექი.

– ნუ ტირი, – მითხოვე და ჯერ არაფერს უთხრა, რაც მოუვიდა ჯოხარს, თორემ ბევრი ისურვებს, რომ მასთან ერთად მოვდეს... ჩეჩენი მიჭები, ბავშვებზე ტყვიებს მკვლად შეუშვერენ... გთხოვთ, გამაგრდით...

ჯოხარი იყო პირველი ჩეჩენი გენერალი. როდესაც მან გენერლის წოდება მიიღო. ეს

თუმცა კი სთავაზობდნენ, რადგან არა მხოლოდ უზრუნველყოფის ვარდებოდნენ ტყვევებამ, არამედ პოლიტიკურად...

რეკლამა ევროპაში, საერთოდ, არ შემოძლია გავიგო, რა საერთო შეიძლება ჰქონდეს ამასთან ქრისტიანებს.

ქვებულნი იყვნენ. თორემ ნამდვილი მორწმუნენი, ქრისტიანებიც და მუსულმანებიც, ამას არ იტყობდნენ.

საკვირველი ის იყო, რომ როცა რომის პაპმა შეიტყო ამ დაკრძალვის შესახებ, რადგან მთელ მსოფლიოში უყურებდნენ ამას ტელევიზიით...



ალა დუდაევა

რბ თქმა უნდა, საერთო კავკასიური სახლი იყო ჯოხარისა და ზვიადის ოცნება. ჯოხარი საქართველოში ჩავიდა, ჯერ კიდევ პრეზიდენტად არჩეულამდე.

მინდა გითხრათ, რომ ჩეჩენი ხალხი ვთავაზობდა ზვიად გამსახურდიას. შეუძლებელი იყო, რომ მისით არ აღტაცებულიყავი...

მინდა გითხრათ, რომ ჯოხარს მეგობრები დაეხმარნენ. ვინაიდან ეს ძალიან სახიფათო იყო, გამსახურდიას ნემსის ჩამოტანასა და დაკრძალვისთვის ჯოხარმა მოწოდება მთელ მსოფლიოში გაავრცელა.

...მამონ აქტიურად განიხილავდნენ ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის საკითხს. ეს იყო ჯოხარის პრეზიდენტობის დასაწყისში.

ვე ომში, ზნეობრივი, მორალური მაგალითებით გამოჩნდებიან სხვა ქართველი, უანგარო ჭაბუკებიც, ჩეჩენ ძმებთან ერთად უკანასკნელ სისხლის წვეთამდე საბრძოლველად და იქერიის დიდ გამარჯვებამ დაჩეხა ქართველთა თანადგომის კვალიც.

ისტორია და ფიქრები კავკასიაზე

ჩეჩენთის რესპუბლიკის კონცეფციაში ჩამოყალიბებულია, როგორც უნდა იყოს კავკასია. თავისი ბუნებით, ჩვეულებებით და მდებარეობით, კავკასია უნიკალურია.



დანგრეული ბროზნი

ჯვების ტრიუმფი ახლოვდება. მოწინააღმდეგეები ალყაში არიან მოქცეულნი. და მოულოდნელად ჩეჩენი ჯარისკაცები იმამ შამილის დანაშაულებს შესახებ მათ წინააღმდეგ მებრძოლ ქართველებს.

ლომდა მის დახმარებას. თავიანთ სახლებში ევატიყებოდნენ.და, როდესაც ის დაიღუპა, ეს იყო ჩეჩენთა საყოველთაო გლოვა, დიდი ტკივილი.

და ჯოხარის ლიტველი მეგობრებისა. ესენი იყვნენ შტურმანი ვიტას ედუკაიტისი (ის აღწეო ჯოხართან ერთად მართავდა თვითმფრინავს) და კიდევ რამდენიმე ლიტველი...

გადაწყვეტილი ჰქონდა თავის რამბთან ერთად წავიდეს აფხაზეთში, აფხაზების დასახმარებლად. ჯოხარმა უპასუხა, რომ ჩეჩენთის არმია არ აპირებს ამ ომში ჩაბმას და მასავეს არ ჰქონდა უფლება წასულიყო იქ.

ალა დუდაევა - ეს არის რუსეთის ხელისუფლების მიზანი, რომელიც წამლავს ხალხებს „გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკით.

წლების და მღვრიე წყლების გადაღმა, ყველა აკრძალვის და საზღვრის იქით, შემოდის ქრისტეს ჯვარცმული ხატი და დავიწყებულ სიყვარულს გვიტყვის...



„მადლობალი მარ თომო სასტიკი ბაღის, რადგან მან ჯოხართან შემახვედრა“

ჯოხარის სიკვდილის შემდგომ კი მე მათთან დავრჩი... რამდენჯერმე მოწვევა მივიღე ჩეჩენთი დასაბრუნებლად, მაგრამ ჯოხარის და ჩემი შვილების ოკუპირებულ სამშობლოში მე არ ჩავალ.

საუკუნეების მანძილზე კავკასიის ერთობის თემა საქართველოშიც არ იყო ყველასთვის საერთო მრწამსი. ათეული წლების უკან, ძველი იქერიის ტყეში ბრძოლის დაწყებამდე, შამილი ინტერესდებოდა: რუსების გარდა ვინ იზრდვის მათ წინააღმდეგოსებს, ჩეჩენებს, ქართველებს დაუსახლებენ და ყველაზე მეტად ქართველების ამბავი აოცებს: - საკვირველიაო, ქართველებს რაღა უნდათო ჩვენთან... დიხ, სამწუხაროდ, მაშინ რუსეთის დროშის ქვეშ იზრდოდნენ რუსთა ხელმწიფის სამსახურში მყოფი ქართველებიც... მაგრამ იმა-

მე მთელ ჩემს შემდგომ ცხოვრებას ვუძღვნი ჯოხარ დუდაევს, პირველ პრეზიდენტს დამოუკიდებელი იქერიის რესპუბლიკის... ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი სასტიკი განსაცდელი იქნებოდა ჩემი და ჩემი ოჯახის ხვედრი.

საუბარი ჩაიწერა ნინო ხოჭავრიანი

ჩანართზე მუშაობდნენ ნინო ხოჭავრიანი და კახა შორიძე

რას წერენ, რას აზოჯენ ჩვენზე

„არის ოპტიმიზმი ივანესთან ღაკავშირებით, რომ იხილან გაეოსავალს მოვნახავით“

ზუსტად ნახევარი წლის წინათ შენგვაში დაიწყო მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ურთიერთობათა ნორმალიზაციის შესახებ. იმის შესახებ, მიგვიყვანა თუ არა კონკრეტულ შედეგებამდე ამ დიალოგმა და ნიშნავს თუ არა მოსკოვთან დიალოგის დაწყება თბილისის უარს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით, ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხებში უკრაინაში მუშაობის დროს.

— ამ დღეებში თქვენ მესამედ შეხვედით რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს. როგორ ჩაიარა მოლაპარაკება?

— სამწუხაროდ, მიიდა დავიწყო ნეგატივით. შეხვედრა მიმდინარეობდა ცხინვალის რეგიონთან ადმინისტრაციულ საზღვარზე მომხდარი სამწუხარო მოვლენების ფონზე: იქ გაიტაცეს ადამიანები, მიმდინარეობს „კედლები“ მშენებლობა მავთულსწორებით. ეს ყოველივე დიდად აღელვებს ადგილობრივ მოსახლეობას და საქართველოს საზოგადოებრიობას. ფორმალურად საზღვარზე სიტუაცია — ბატონ კარასინთან ჩვენი შეხვედრების თემა არ არის, ამისთვის უნდა ფორმალურად მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით გვერდი აგვეკლო ამ პრობლემური საკითხის განხილვისათვის პრალაში შეხვედრის დროს.

— ნახევარი წლის განმავლობაში მოლაპარაკებების სამი რაუნდი გაიმართა. შეიძლება ვისაუბროთ წარმატებაზე დიალოგის რომელიმე პუნქტთან დაკავშირებით?

— ზოგიერთი პოპულიური ძვრები არის. რუსეთის ფედერაციის ბაზარზე ბრუნდება ქართული პროდუქცია, აღდგება სატრანსპორტო ურთიერთობანი. რუსეთის მხარე საუბრობს საქართველოს მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე. შეგასვენებთ, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებს შეუძლიათ ჩამოვიდნენ საქართველოში უვიზოდ. 1 ივნისიდან სადღეღამისო რეჟიმით დაიწყო მუშაობა საკონტროლო-გამტარმა პუნქტმა საქართველო-რუსეთის საზღვარზე ყაზბეგი-ზემოლარსი. პრალაში ჩვენ ასევე შევეხეთ საკითხს

საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის შესახებ



საქართველოს მონაწილეობის შესახებ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში. მთლიანად დიალოგის ექვსი თვის განმავლობაში გარკვეული დადებითი მუშაობა გავწიეთ. არის გარკვეული ოპტიმიზმი ივანესთან დაკავშირებით, რომ ჩინიდან გამოსავალსაც მოვხაზავთ, რომელშიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობანი აღმოჩნდა. ამის შემდეგ, ალბათ, დავიწყებთ უფრო რთული საკითხების გადაწყვეტას.

— მაგალითად, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საკითხს?

— საქართველოს ამაზე წასვლა ვერგეობით არ შეუძლია, ვინაიდან ასეთი ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ ჩვენს ქვეყანას არ აქვს პრეტენზიები რუსეთთან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით. საქართველო ვერასდროს შეურიგდება ამ ტერიტორიების დაკარგვას. ვფიქრობ, რომ რუს კოლეგას სულის სიღრმეში ესმის ჩვენი პოზიცია.

— ნიშნავს რუსეთის ფედერაციასთან დიალოგი უარს თქმას ევროინტეგრაციაზე?

— ჩვენ ევროკავშირის ინტეგრაციაზე უარს არ ვამბობთ. ჩვენი ქვეყანა თანდათან უახლოვდება ევროპულ სტანდარტებს. ნოემბერში ვილინუსში სამიტზე ჩვენ ვაპირებთ მოვახდინოთ ევროკავშირთან ასოცირებულ ურთიერთობათა შესახებ შეთანხმების პარაფირებას.

— საქართველოს ნატოსთან დაახლოების საკითხთან დაკავშირებით რას იტყოდით?

— ქართველებმა ნატოსთან დაახლოების გზა აირჩიეს რეფერენდუმზე. ჩვენ განზრახული გვაქვს კვლავაც ვითანამშრომლოთ ალიანსთან. იმედი მაქვს, რომ ეს არ გახდება დაბრკობა ჩვენი ახალი დიალოგისთვის რუსეთთან. მაისის ბოლოს ნატოს შტაბ-ბინაში გამოვედი მოხსენებით მოსკოვში ჩვენი დიალოგის შესახებ, და ალიანსის ქვეყნები გაგვიდასმინებენ ამ დიალოგს. ნატოში მიაჩნია, რომ საქართველოს მისწრაფება ალიანსისკენ არ არის დაბრკობა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებისთვის.

— თბილისის ნატოსთან თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია — ავღანეთი. სომ არ შეგახსენებთ ეს დრო იმ ბერიოდს, როდესაც საბჭოთა ჯარისკაცები თავიანთ „ინტერნაციონალურ მოვალეობას“ ასრულებდნენ?

— საბჭოთა ჯარისკაცებს არჩევანი დიდი არ ჰქონიათ. ამ შემთხვევაში კი ეს ქართველი ჯარისკაცების თავისუფალი არჩევანია. დღეს ქართველ სამხედროებს შეაქვთ თავიანთი წვლილი მსოფლიო და რეგიონალურ უშიშროებაში. ავღანეთი ხომ არც ისე შორსაა კავსიყვანად. რუსეთიდანაც, სხვადასა შორის.



დედაჩინის ზურგზე



მისიკაპი ანჯალტით დატვირთული ავტომობილიდან გადის სანაწარმ მასწავლებლებმა ჯგუფში შეიჭრა, მოკლეს 8 კაცი. სატივროთ მანქანას ბუქსირით, რომელსაც გადატვირთეს 80 ათასი ლიტრი თხევადი ასფალტი, მუსრუტებშია უმტყუნა. მანქანამ გზად გადათელა ათობით სხვა ავტომობილი, რის შემდეგაც აფეთქდა მატარებლის გაჩერების ადგილას ავტომანქანაზე, სადაც ადგილობრივი მასწავლებლები აპროტესტებდნენ განათლების რეფორმას.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დავიანდაც, დაუბრუნოს ლიბინას კადაფის ძონება — ფული, თბრო, აღმასავი



შეთანხმებას ამის შესახებ მიიღწიეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პრავინორდანის ლიბინის პრემიერის კანცელარიის მინისტრთან უსამა აღაბიდათან შეხვედრაზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაცემებით, საკითხი შეეხება თანხას მიიღარდ დოლარზე მეტი ოდენობით ზოდებში, ძვირფას ქვებსა და სხვა აქტივებში, რომლებიც ინახებოდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბანკებსა და კორპორატიულ საცავებში.

აზუ-ის განცხადების შესახებ, რომ სსაშის რეჟიმმა გადააკეთა „წითელი ფული“, გამომჟღავნდა სირიის ომში ჩართვის გზა



პრეზიდენტი ობამა კონსულტაციას გამართავს კონგრესთან, აგრეთვე აიღი რვიანის ლიდერებთან შეხვედრაზე, რომელიც მალე უნდა გაიმართოს, მაგრამ წყაროებმა უკვე გააუფრეს „პირდაპირი სამხედრო დახმარების“ სირიელი მეამბოხეებისათვის, რის შესახებაც განაცხადა თეთრმა სახლმა. მათ კი ამ დღეებში ვაშინგტონს და მის მოკავშირეებს ვეროპაში გაუგზავნეს მითოსთან თანამედროვე შეიარაღებაზე.

„ფიშინის“ ნახევრად შიშველებმა აპტივისტებმა კიდეც მრთელო შეშინის კანცლიერ მიჩაქის

ოთხი ქალიშვილი წელამდე გაშვილდა და დაიწყო ლოზუნგების წამოძახება „თავისუფლება ფიშინს“ იმ მომენტში, როდესაც გერმანიის მთავრობის მეთაური მოვიდა საზეიმო მიღებაზე, რომელიც გერმანიის პროლიუსერმა ალიანსმა მოაწყო. ქალიშვილებს სხეულებზე ეწონათ მოწონდება გაათავისუფლონ მათი თანამებრძოლები, რომლებსაც ტუნისში ციხე მუსაჯავს.

საპაპილს საქართველოს ოლიმპიკების უღროოდ დატოვება სურს

პრეზიდენტი მისიელ სააკაშვილი და მისი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კატეგორიულად მოითხოვენ, რომ საქართველოს სპორტსმენებმა არ მიიღონ მონაწილეობა სოჭის ზამთრის ოლიმპიადა-2014-ში. როგორც მინიმუმში, ისინი მოითხოვენ, რომ ამ თამაშებზე არ იყოს საქართველოს დროსა.

— თუ თავად სპორტსმენებს არ სურთ, უარი თქვან შეჯიბრებებში მონაწილეობაზე, მაშინ უნდა გამოვიდნენ ოლიმპიური მოძრაობის დროშის ქვეშ, სოლო არა ჩვენი ქვეყნის სახელით. საქართველო, როგორც სახელმწიფო, არ უნდა იყოს წარმოდგენილი სოჭში — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ შოთა მალაშვიამ.



დაახლოებით ასევე ფიქრობენ სხვა პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

— საქართველოს პოლიტიკა რუსეთთან დამოკიდებულებაში უნდა იყოს თანამედროვეული და პრინციპული. რუსეთისგან არ არის და არც მოსჩანს დათმობები აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ოლიმპიადისთვის გამოცხადებული ბოიკოტი ასევე შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც პოლიტიკური პროტესტის ფორმა, მით უმეტეს, რომ თამაშების პრაქტიკაში ასეთი პრევენციები იყო, — განაცხადა ჩვენთან საუბარში პარტია „ახალი მემარჯვენების“ ლიდერმა ფიქრია ჩინაბაძემ.

სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით აქტიურ ბრძოლაში ჩართო ზოგიერთი ქართველი სპორტსმენი.

— საქართველო ან მისი დროშა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სოჭის თამაშებზე, — მიაჩნია

მაშხების ან მათში საქართველოს მონაწილეობის მონაწილეებმა დროა გაიგონ, რომ ოლიმპიადას აწვობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და არა რუსეთი, — უთხრა მან ჩვენს გაზეთს.

— მაშასადამე, ჩვენ ვცდილობთ, ბოიკოტი გამოვეცხადოთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რაც საბოლოო ჯამში დამტკიცდა იქნება საქართველოს სპორტისთვის.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი, თავის მხრივ, ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ საკითხი ქართველი სპორტსმენების მონაწილეობის შესახებ სოჭის ოლიმპიურ თამაშებში არაეროვნული დროშის ქვეშ, „არ განხილულა და არც განხილება“, მიუხედავად იმისა, რომ პრინციპულად ასეთი პრაქტიკა არსებობს. მაგალითად, 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიაზე 15 ქვეყნის ნაკრები გამოვიდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დროშის ქვეშ.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ შარშან წლის ბოლოს დაგვირდა, რომ საქართველო აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიადაში. არ არის გამორიცხული ისიც, რომ იგი თავად დაესწრება თამაშების გახსნის ან დასრულების ცერემონიას. ქართველ სპორტსმენებს აქვთ სამი ოლიმპიური ლიცენზია, მათ იმედი აქვთ, რომ მიიღებენ კიდევ რამდენიმეს. მთავარი იმედი — ფიგურისტი ელენე გედეგანიშვილი, რომელიც ორჯერ მოიგო ბრინჯაოს მედალი ევროპის ჩემპიონატებზე.

— ეს პრინციპული საკითხია თა-

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ფეხბურთი



ლიტვაში - აგვიციებით

ბუშონ ლიტვის ქალაქ კაუნასში 19-წლამდე ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართა. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები, რომელმაც ფინალური ეტაპის საგზური ბელგიაში გამართულ ელიტრაუნდში მოიპოვა, ევროპირველობაზე A ჯგუფში ითამაშებს, მეტოქეებად კი საფრანგეთი, თურქეთი და სერბეთი ევოლებს, ხოლო B ჯგუფში ესპანეთი, პორტუგალია, პოლანდია და ტურნირის მასპინძელი ლიტვა მოხვდნენ. ჯგუფური ეტაპის მატჩები 20, 23 და 26 ივლისს გაიმართება, ნახევარფინალები 29 ივლისს შედგება, ფინალი კი 1 აგვისტოს ჩატარდება.

ლიტვა-პოლანდია, ესპანეთი-პორტუგალია. 23 ივლისი სერბეთი-საქართველო, თურქეთი-საფრანგეთი, ლიტვა-ესპანეთი, პოლანდია-პორტუგალია, 26 ივლისი, თურქეთი-საქართველო, საფრანგეთი-სერბეთი, პორტუგალია-ლიტვა, პოლანდია-ესპანეთი. 29 ივლისი ნახევარფინალები: A ჯგუფის გამარჯვებული - B ჯგუფში მეორე ადგილზე გასული, B ჯგუფის გამარჯვებული - A ჯგუფში მეორე ადგილზე გასული. 1 აგვისტო ფინალი.

გიორგი შოთაძე

20 ივლისი საქართველო-საფრანგეთი, სერბეთი-თურქეთი,



კონფედერაციის თასი

ბენერალური რეპეტიცია

დღეს ბრაზილიის სტადიონებზე იწყება 2014 წლის „მუნდიალის“ გენერალური რეპეტიცია - კონფედერაციის თასის გათამაშება, რომელშიც კონტინენტების საუკეთესო ნაკრებები მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ ესპანელებთან და მასპინძლებთან ერთად გულშემატკივარს ორკვირიან სანახაობას შესთავაზებენ. აღსანიშნავია, რომ მეცხრე ფორუმის მონაწილეთაგან სამს - ესპანეთის, იტალიისა და ურუგვაის გუნდებს შესანიშნავი შანსი ეძლევათ, გახდნენ ფიფის ეგიდით გამართული სამივე უმაღლესი რანგის ტურნირის გამარჯვებულნი (მსოფლიოს ჩემპიონატი, ოლიმპიადა და კონფედერაციის თასი). აქამდე მსგავს წარმატებას მხოლოდ არგენტინამ და საფრანგეთმა მიიღწიეს. „ბ“ ჯგუფი. ბრაზილია, იაპონია, ტაიტი, ნიგერია.

„ბ“ ჯგუფი. ესპანეთი, ურუგვაი, იტალია, მექსიკა. აქვე გაუწყობთ, რომ უკანასკნელ მომენტამდე სათუო იყო სამხრეთ ამერიკაში ნიგერელთა ჩასვლა, რომლებიც აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში ნამიბიელებთან ერთად - 1:1 დასრულებული მატჩის შემდეგ უშედეგოდ ითხოვდნენ იქაური ფეხბურთის ფედერაციისგან საპრემიო თანხას და კონფედერაციის თასის ბოიკოტირებით იმუქრებოდნენ, მაგრამ საქმეში ფიფას გენერალური მდივნის ჟერომ ვალკიეს ჩარევა საკმარისი აღმოჩნდა პრობლემის მოსაგვარებლად. დავეხებით, რომ ამ ტურნირის თითოეული შეხვედრის პირდაპირ ტელეფორმაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხი შემოგვთავაზებს.



წყალბურთი

სტარტზეა ეუზვიდე მემორიალი

ბუშონ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში წყალბურთულ ზურაბ სახელაშვილის სახელობის ტურნირ „ზუკას თასისადმი“ მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა.



ჟურნალისტებთან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მოადგილემ - აკაკი ლოდიაძემ და შეჯიბრების ორგანიზატორებმა - ზურაბ სახელაშვილის მეგობრებმა, ასევე წყალბურთში ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა - ვლადიმერ ისელიძემ ისაუბრეს.

ვერცხლილია), ხოლო მისი წევრები - სიგელეებით. თასები ასევე გადაეცემთ შეჯიბრების საუკეთესო ბომბარდირს, მოთამაშესა და მეკარეს. საპრიზო ადგილზე გასული გუნდების წევრები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის სიგელებით.

„ზუკას თასის“ წლებადილი გათამაშების ორგანიზატორები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სანჯლოსო სახეობათა სპორტის ფედერაცია და ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ არიან ზურაბ სახელაშვილის მეგობრებთან ერთად.

მნიშვნელოვანია, რომ შეჯიბრება ინარჩუნებს საერთაშორისო ტურნირის სახელს და მასპინძლობს გერმანიის გუნდების საუკეთესო წარმომადგენლებს - მაიკ ტროლს, მირო ტადინს, მარცინ დენიელ ტრანს, მარკ ბოერს და ქრისტოფ ქრისტინ შუბერტს.

შეჯიბრება შერეული სისტემით მინი-წყალბურთის წესებით დღეს და ხვალ ჩატარდება და მასში მონაწილეობას 8 გუნდი მიიღებს. „ა“ ჯგუფში „ლიგამუსი“, თსუ, „ზვიგენები“ და ზუკას მეგობრები ითამაშებენ, „ბ“ ჯგუფში კი - „თბილისი“, გერმანია, „ივერია“ და ახალგაზრდული ნაკრები. დღეს შეჯიბრება 12 საათზე, 16 ივნისს კი დასკვნითი ფინალური ეტაპი 15 საათიდან დაიწყება.

გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება გარდამავალი თასით (თასის ავტორი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძე, თასი შესრულებულია ბრინჯაოში და მო-

მანუარ გიორგაძე



რაგბი

უზიდკასს მოგვალე მსოფლიო თასის გათამაშება 2018 წელს გაიმართება

მსოფლიო თასი 1993 წლიდან მოყოლებული ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა, მაგრამ ამჯერად შუალედი წ წელი იქნება. ასეთ გადაწყვეტილებამდე IRB იმის გამო მივიდა, რომ შეიდეკაცა რაგბი ზაფხულის ოლიმპიადის ერთ-ერთი სახეობა

განდა და ის დასრულების თვალსაზრისით მეორე ადგილზე მყოფ მსოფლიო ღონისძიებაზე პირველად 2016 წელს რიო დე ჟანეიროში გაიმართება. სამომავლოდ ტურნირი კვლავ ოთხ წელიწადში ერთხელ გაიმართება და ამრიგად, შეიდეკაცა

რაგბის გულშემატკივრებს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ექნებათ დიდი ტურნირის ყურების შესაძლებლობა - ოლიმპიადის და მსოფლიო თასის.

საქართველოს უზიდკაცა ნაკრები 2001 წლიდან მსოფლიო თასის უცვლელი მონაწილეა და წლეულს 28-30 ივნისს რუსეთის დედაქალაქ მოსკოვში მეოთხედ ცდის ძალებს უზიდკაცა რაგბის მსოფლიო თასის გათამაშებაში.

2018 წლის მსოფლიო თასის მასპინძლობის მსურველი უკვე გამოუჩნდა - ამერიკის შეერთებული შტატები.

„ჩვენი დელეგაცია მოსკოვს ეწვევა, რათა ადგილზე ნახოს, თუ რა არის საჭირო უზიდკაცა რაგბიში მსოფლიო თასის მასპინძლობისთვის. ამერიკაში მსოფლიო თასის გამართვა ჩვენს ქვეყანაში რაგბის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს. მოუთმენლად ველით სატენდერო ვადის ამონაშროვს და ვიმედოვნებთ, რომ 2018 წელს მასპინძლობის უფლება ჩვენ გვერგება“, - განაცხადა აშშ-ის რაგბის კავშირის აღმასრულებელმა დირექტორმა უილ ჩანგმა.

როსტომ რაჭველიშვილი



კალათბურთი

ჯეიმსა ოლაჯუნს და ჰავლიჩეს გადაასწრო

მსოფლიო საკალათბურთო ასოციაციის ფინალის მორიგ მატჩში „მაიაში ჰითმა“ „სან ანტონიო სფურზი“ 109:93 დაამარცხა და სერიაში წონასწორობა აღადგინა - 2:2, თამაშის ერთ-ერთი გმირი კი შეუდარებელი ლებრონ ჯეიმსი გახდა, რომელმაც 33 ქულა, 11 მოხსნა, 4 პასი და 2 დაფარება მოაგროვა.




ნბა-ს ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ჯეიმსის საფლეიოფო მონაგარმა 3 777 ქულას უწია, რითაც იგი ისტორიაში მე-9 ადგილზე დამკვიდრდა.

„მეფე ლებრონმა“ ლეგენდარულ ჰაკიმ ოლაჯუნს (3 755) და ჯონ ჰავლიჩეს (3 776) გადაასწრო, მისი უახლოესი სამიზნე კი „სელტიკის“ ექს-ვარსკვლავი ლარი ბერდია 3 897 ქულით.

ვიტალი ჯაფარიძე

⊙ პატივგაზა

ის იყო პაცი, ვისაც ქვეყანა ყურს უგდებდა



საქართველოს პარლამენტის პირველი პრეზიდენტი

გვალა გონაშვილი, პროფესორმა ლევან ფრუიძემ კი აუდიტორიას მარად ჩვენი თანამედროვეის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავი ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ სპეციალური გამოცემა წარუდგინა (მთავარი რედაქტორი – ლამარა გიორგაშვილი).

„ვისაც სამშობლოს სამსახური და მამულიშვილობა უნდა, ყოველმა უნდა იტვირთოს მძიმე ჯვარი არა პირადი საზღაურისთვის, არამედ ქვეყნისათვის“ – ვკითხულობთ კრებული შესავალში შთამომავლობისთვის მართლაც რომ სამაგიდო წიგნად დატოვებული ისტორიული რომანის „მძიმე ჯვრის“ ავტორის სტრიქონებს.

⊙ ინფორმაცია

ირანელაბი ათას-ათასი ლარით დააჯარიმეს

ირანის მოქალაქეებს არადეკლარირებული ვალუტა აღმოჩინეს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, 13 ივნისს დუბაი-თბილისის რეისით ირანის მოქალაქეები – ბატოლ რ. და სეიდამირაბაზას ჩ. ჩამოფრინდნენ. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, მგზავრების მოფრენის დარბაზში, ეჭვის საფუძველზე მათი ბარგი და ხელბარგი დაათვალიერეს. დეტალური შემონების შედეგად ბატოლ რ. და სეიდამირაბაზას ჩ. ბარგში არადეკლარირებული 30 000-30 000 აშშ დოლარი (საერთო ჯამში 60 000 აშშ დოლარი) გამოვლინდა. შედეგად მგზავრის ბარგის/ხელბარგის დათვალიერების, ასევე საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები, რაზეც ირანის მოქალაქეებმა ხელი მოაწერეს. მგზავრებს შეეფარდათ ჯარიმა – 1000-1000 ლარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად.

⊙ არდავიწყება

„მესხეთი – 2001“ პატივს მიაგებს

განერბულ თანგზი ეპიტაფიის ბარდაცვალებიდან 10 წლისთავის ბაზო

ბრ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა... ამბობს ქართველი კაცი და ამ ტრადიციის ერთგული რჩება. სწორედ მოყვრის არდავინების სურვილით გაიმართა ამ დღეებში (13 ივნისს) ასოციაცია „მესხეთი – 2001“-ის დარბაზის სხდომა თბილისის დამოუკიდებელი სასწავლო უნივერსიტეტის და ტურიზმის აკადემიის შენობაში, რომელიც მიქცენა გენერალ თენგიზ ეპიტაფიის გარდაცვალებიდან 10 წლისთავს. სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა ასოციაცია „მესხეთი – 2001“-ის პრეზიდენტი ამირან მექვაბიშვილი.




პროფესორი სვითისპარ არკაშაშვილი

საქართველოს რესპუბლიკა

გიგა ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი: 16, 17 VI, პაოლო იაშვილის №7, 18 VI, 12 საათიდან კოტე მარჯანიშვილის თეატრში.



გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. პანაშვიდი: 16, 17 VI, პაოლო იაშვილის №7, 18 VI, 12 საათიდან კოტე მარჯანიშვილის თეატრში.

ეკვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება თანაურგძნობს აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძეს ძმის, გამორჩენილი ხელოვანის, საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო.

გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების შესახებ. ჩვენ ყველამ დავკარგეთ არა მარტო დიდი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე, არამედ უკეთესობილესი ადამიანი. მე და გიგა ახალგაზრდობიდან ვმეგობრობდით და ბოლომდე დავრჩით მეგობრებად. სამძიმარს ვუცხადებ მის მეუღლეს ქალბატონ ქეთევან კიკნაძეს, მის დას ქალბატონ მარიკა ლორთქიფანიძეს, ოჯახის წევრებს, ახლობლებს, სრულიად საქართველოს. ედუარდ შვეპარდნაძე თბილისი. 14 ივნისი, 2013 წელი.

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია მწუხარებას გამოთქვამს ქართველი კინოსა და თეატრის გამორჩენილი მოღვაწის გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

სანთელი

პაცი, რომელიც დააპლდა ქალაქს...

სს „აღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ და შპს „საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამორჩენილი ონკოლოგი, ჯანდაცვის ორგანიზატორი, პროფ. ანდრო ღვამიჩავას ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, მედიცინის დოქტორი **დავით ანდროს ძე ღვამიჩავა**

საოცრად თბილი და მოსიყვარულე ადამიანი იყო, გულიანი, გვირგვინი, თავმდაბალი და მუდამ გაჭირვებულის გვერდში მდგომი, ყველას დამრიგებელი და თანახმორი...

დაიბადა 1939 წლის 18 მარტს. 1964 წელს დაამთავრა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი.

სამედიცინო მოღვაწეობა დაიწყო გარდაბნის რაიონის ქირურგ-ონკოლოგად.

1970 წლიდან პროფესიული კარიერა ონკოლოგიის დაუპყვეშირა და ბოლომდე მისი ერთგული დარჩა. თავდაპირველად იყო ონკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილების ასპირანტი, შემდგომში – ჯერ უმცროსი (1973-1978 წ.წ.), მერე უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1978-1983 წ.წ.).

1976 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1983-1990 წ.წ. – დავით ღვამიჩავა იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორის მოადგილე სამკურნალო დარგში.

1990-1999 წ.წ. – დირექტორის მოადგილე პოლიკლინიკის დარგში.

2000-2008 წ.წ. – ა.ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორი და თანამშრომელი.

კოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორი დიანოსტიკის დარგში.

1990 წლის 31 აგვისტოს ჯანმრთელობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებით მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება.

1997 წლის 13 მაისს დაჯილდოებული იქნა „ღირსების მედალით“.

ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს, დიდი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, თავდადებად.

ყველა განსაკუთრებით სცემდა პატივს – უფროსი და უმცროსი, ექიმი და არა ექიმი. მანაც განსაკუთრებული გვერდში მდგომი და ერთგულეობა იცოდა.

აღბათ, მინც ცხოვრებისეულმა ტრაგედიამ გატეხა – ვერ შეეგუა შვილიშვილის გარდაცვალებას, ვერ დაძლია დიდი სევდა და ტკივილი.

სიმბოლურია, რომ ბატონი დავითი ამალღების ბრწყინვალე დღესასწაულის დღეს გარდაიცვალა – უფალმა აამალღოს მისი სული.

მისი სიცოცხლე მარადიულობას გაჰყვა, მაგრამ დარჩა ხსოვნა, რომელიც არასდროს დაბერდება და სიყვარული, რომელიც არასოდეს მოკვდება.

⊙ კრიზისალი

წითელ ხილზე ფსიქოპროპული გავიკაპნებამი აღმოაჩინეს

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს. მათივე ინფორმაციით, საბაჟო გამშვებ პუნქტზე „წითელი ხიდი“ I კაფსულა ლირიკა LYRICA (Pregabalin) 758გ აღმოაჩინეს. კერძოდ, უწყების ცნობით, 20:30 საათზე, აზერბაიჯანიდან თურქეთის მიმართულებით ტრანზიტულად მოძრავი ავტობუსი შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟოს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ეჭვის საფუძველზე ავტობუსისა და საბარგო განყოფილებაში მოთავსებული მგზავრთა ბარგის დეტალური დათვალიერება განხორციელდა. შემონების შედეგად, ერთ-ერთი მგზავრის, კერძოდ თურქეთის მოქალაქის, კარაბაშ მ-ს ბარგში ფსიქოტროპული საშუალება 758გ I კაფსულა გამოვლინდა.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, საქმის მასალები შემდგომი მოკვლევითი შესაბამის ორგანოს გადაეცა.

უახლოესი მეგობრები მანანა მაჭავარიანი, სალომე ბოლქვაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დავით ღვამიჩავა და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

იური ქოლოკავა ოჯახით თანაურგძნობს თინიკო და ჯემალ მეზუქეებს დედისა და სიდედრის ზინაიდა კიმიპური-სანოქის გარდაცვალების გამო.

ლეოსო, ამოგთქო!



გურამ გომართელი

საპრილო

გაზაფხულმა გამომაგდო გარეთ, რომ ვინილო ქორჩის ვარცხნა მთების, რომ დავესწრო, როგორ დნება ცრემლად, თოვლი - მტერი ფერთა შესამების.

„გოფილექტის“ ბალის გასსენება

„ყვავილების ქვეყანა, ჩოქვით შემოვიარე“, მღერის ჯანო ხელგაშლით, ჰანგით კურნავს იარებს. ყველა ვინც ლამაზია, „გოფილექტის“ ბალსია, ღიმილ-სიცილიანი ყმაწვილების მარშია.

ამო-ნაკვეთები

შეძახილმა ხე გაახმო, ტკბილმა სიტყვამ ახარა, ავის თქმა თუ მოგინდება - იქ მითხარი - აქ არა!

ცხოვრება მირტყამს ბურთებს, ვერ გამოიტანა გოლი, ანგარიშია ჩემკენ: ოთხმოცდაორით - ნოლი!

2013.

ჩვენი კარაბაღი

სადილი სიჩუპი

თვითმფრინავის ხმაური გავლენას ახდენს ჩვენს გემოვნების რეცეპტორებზე და ცვლის საკვების გემოს, ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. ამის გამო საჭმელი გვეჩვენება ერთნაირად უგემურად ყველა საპაერო სომალდში.

მეცნიერებმა მოაწვეს ექსპერიმენტი: მოხალისეებს სთავაზობდნენ, შეეცვალებათ საკვების კვებითი ღირებულებანი: მარილიანობა, სიტკბო და სიმკვრივე. ამ დროს პირველ ჯგუფს ჩამოაცვეს ყურსაფარები, რომლებიც თვითმფრინავის მსგავს ხმაურს გამოსცემდნენ, სხვები კი მიირთმეოდნენ სრულ სიჩუპში.

გამოირკვა, რომ ხმაურიან ატმოსფეროში, რაც თვითმფრინავში სუფევს, მონაწილეებს უქვეითდებოთ გემოვნებითი ზღუდე, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავარჩიოთ, რამდენად მლაშეა ან ტკბილი შემოთავაზებული საჭმელი. ამ დროს „იზრდება“ პროდუქტების „სახარაშუნო“ თვისებები.

რა აკლირებს მესხიერებას

როზმარინის ეთერზეთი, როდესაც გავლენას ახდენს ტვინზე, მნიშვნელოვნად ზრდის მესხიერების შესაძლებლობას, მიაჩნიათ ბრიტანელ ფსიქოლოგებს. ექსპერიმენტში მონაწილეობისთვის მეცნიერებმა მოიწვიეს 66 კაცი, ისინი გაეფეს ორ ჯგუფად და სხვადასხვა ოთახში მოათავსეს (ერთი მათგანი არ-

მატიზეული იყო როზმარინის ეთერზეთით). შემდეგ მოხალისეებს შესთავაზეს, შეესრულებინათ მთელი რიგი ტესტები მესხიერების შემოწმებაზე (ექსპერტები მალავენენ საგნებს და გარკვეული დროის შემდეგ თხოვენდენ მოხალისეებს მოექებნათ ისინი ან სთავაზობდნენ მათ გადაეცათ გარკვეული ნივთები მითითებულ დროს). შედეგად აღმოჩნდა, რომ ისინი, ვინც როზმარინის არომატს ჩაისუნთქავდა, უკეთ ართმევენდენ თავს დაავადებას. მათ ასევე აღენიშნათ 1,8-ცინეოლის (შენაერთი, რომელიცაა როზმარინის ეთერზეთი შეიცავს) მაღალი დონე სისხლში. ეს შენაერთი ორგანიზმში მოქმედებს ქიმიურ სისტემებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ მესხიერებაზე.

ცნობას კომენტარს უვითებს ნერგულ დაავადებათა სპეციალისტი როზმარტ თამაზაშვილი:

ჩვენთან ეთერზეთების მესხიერების გაუმჯობესებაზე გავლენის შესახებ კვლევები არ განხორციელებულა, ამიტომ მწელია ბრიტანელების ამ ექსპერიმენტზე კომენტარის გაკეთება. თანაც ექსპერტების დასკვნებიც დიდად გასაგები არ უნდა იყოს, ჩემი აზრით: რატომ ასახავს დამალული საგნის მოძებნის უნარი ხანგრძლივ მესხიერებას? საკითხი, როგორც ჩანს, ყურადღებასა და მის კონცენტრაციას შეეხება.

მიაჩნიათ, რომ მესხიერება უმჯობესდება ლექსების ან სხვა ინფორმაციის ზეპირად სწავლით. სინამდვილეში უფრო ეფექტანია - ასოციაციური კავშირების დამყარება, მხედველობითი ან ემოციური სახის შექმნის მცდელობა ინფორმაციის შიგნით. მაგალითად, იმისთვის, რომ დავიმახსოვროთ სამი სიტყვა „სიცივე-ჩარჩო-ნიგნი“, შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანი, რომელიც წიგნით ხელში ზის ფანჯარასთან, გარეთ კი ძალიან ცივი ამინდია.

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაქონაყა ვახუსეუბიჯან



ბაძო-თბილისი-ახალქალაქი-მხარის სარკინიგზო გზის მშენებლობა შეფერხდა იმ ექსპლუატაციაში მხოლოდ 2014 წლის ბოლოს შევა. როგორც აზერბაიჯანული მედია იტყობინება, ამის შესახებ „აზერბაიჯანის რკინიგზის“ თავმჯდომარის მოადგილემ გუბან ნაზიროვმა განაცხადა. აღნიშნული რკინიგზის მშენებლობა 2014 წლის დეკემბერში უნდა დასრულიყო, ნაზიროვის განცხადებით, შეფერხება ადმინისტრაციული მიზეზებით არის გამოწვეული. პრობლემები გაჩნდა იმ მიწების შესყიდვაზე, სადაც რკინიგზამ უნდა გაიაროს. პრობლემებია ასევე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გვირაბების მშენებლობასთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ ვერ მიიღო კანონი, რომელიც მიწების ყიდვა-გაყიდვას არეგულირებს. აზერბაიჯანული მედია აცხადებს, რომ პროექტის შეფერხება საქართველოში ხელისუფლების შეცვლით არის გამოწვეული. ახალი ხელისუფლება პროექტის ბიუჯეტის გადახედვას აპირებს.

„ახალი თბილისი“

„ივანიშვილი კუბლაშვილთან გარიგებაშია“ „აღმოკაბათა ასოციაციის“ პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებულ მოსამართლეთა კონფერენციას ესმიალება და აცხადებს, რომ ბიძინა ივანიშვილი კონსტანტინე კუბლაშვილთან გარიგებაშია. ამის მიზეზი რეიტინგიდან გამომდინარე იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის „ჩაბრვაა“. წულუკიანი დღეს ქვეყანაში ყველაზე ძლიერი ფიგურაა და ეს პრემიერს აღიზიანებს. გარდა ამისა, ხატიაშვილი ხელისუფლებას ფართომასშტაბიანი გაფიცვებით ემუქრება და კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს.

„რეზონანსი“

ნათელაშვილი ამერიკიდან დაბრუნდა და „ლიბერალური პარტიის“ ლიდერი ამერიკიდან დაბრუნდა და იგი ბევრ რამეზე საუბრობს. კერძოდ: „მე თავიდანვე ვაცხადებდი, როცა ქართველები გაუშვეს ავღანეთში რომ ეს იქნება სისხლი, უბედურება, მსხვერპლი და ასე შემდეგ. მოკრიფეს ეს უპატრონო ბიჭები... აბა, ერთი ნახეთ, რომელი დეპუტატის შვილი მსახურობს ავღანეთში? ჩვენი ელიტის, რომელი სპორტსმენის, რომელი მლიქვნელი ექსპერტის შვილი იმყოფება ჯარში? მათი ბიძაშვილებიც კი არ მსახურობენ. ეს ჯარი უპატრონო ხალხის ამოსახოც მანქანად აქციეს, განსაკუთრებით ავღანეთში. არაფერს ვამბობ პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის შვილებზე. ასეთი მონობა არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს, ასეთ რამეს არც ერთ ქვეყანაში არ მოითმენენ“.


„ალია“

„გიორგი მარგველაშვილს მიწა ვუთხრა - პლასტილინიდან ვაჩაღინამდე ერთი ნაბიჯია!“ - დაუნდობელია აკადემიკოსი და სახალხო კრების წევრი ელიზბარ ჯავახიძე, - შეიძლება ეს კაცი ივანიშვილს მოსწონს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. მისი სათრითი ივანიშვილის აჩრდილი სომ არ უნდა ავირჩიოთ?! კაცი რომ აცხადებს, პლასტილინი ვარო, ის ნორმალურია?! მე, რა თქმა უნდა, ნინო ბურჯანაძეს ვუჭერ მხარს!

„მეჩინა“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

- ბრის სიცოცხლე აგარაკზე? - არის, თუ იქ არ არიან ცოლი, სიდედრი და არ არის ბოსტანი. - არა მყავს შევევარებული. იგი ქმარმა მომიკლა. * * * - ძალიწვილო, გათხოვილი ხართ? - არა. - რატომ? - აბა, რა ვიცი... კიდევ მსინჯავენ, კიდევ მაქებენ, მაგრამ არაფერ არ მთხოულობს და... * * * - ბამბარაშობა, სომ არ გაგვეცნო ერთმანეთი? - ეკითხება ბიჭი გოგოს. - ვინა ხარ? - იქნებ ის ვარ, ვისაც მთელი ცხოვრება ელოდი. - თოვლის ბაბუა ხარ?

ავტორთა საპურადლოვო! რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს ატვირთავს ავტორები. საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მთწილი პერმოსკაიას) ქ. 19 იხილეთ 66434 გამომცემელი: შპს „თანადგომბა“-გაზთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ)070.4(479.22) ს-323 ISSN 2233-3651 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24